დამტკიცებულია
საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1971 წლის
15 თებერვლის № 70 ბრძანებით

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის

წესდება

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1973

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წ ე ს დ ე ბ ა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრე ქართველ მეცნიერთა ჯგუფის თაოსნობით დაარსდა და 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა, ექვემდებარება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს.

ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოქმედებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 იანვრის № 64 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით უმაღლესი სასწავლებლების შესახებ და ამ წესდების საფუძველზე.

2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი ამოცანებია:

მოამზადოს მეცნიერების, სახალხო მეურნეობისა და კულტურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ ღრმა თეორიული და საკმაო პრაქტიკული ცოდნა, დაუფლებული არიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, გამსჭვალული არიან მაღალი კომუნისტური შეგნებით, საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, აქვთ მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის ჩვევები;

განუწყვეტლივ სრულყოფდეს სპეციალისტთა მომზადების ხარისხს თანამედროვე წარმოების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოთხოვნილებათა, აგრეთვე განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით;

შეასრულოს ისეთი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომლებიც ხელს უწყობს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრას;

შექმნას მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები;

მოამზადოს სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები; აამაღლოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებელთა, აგრეთვე, სახალხო მეურნეობისა და კულტურის შესაბამის დარგებში მომუშავე უმაღლესი განათლების სპეციალისტთა კვალიფიკაცია;

აღზარდოს სტუდენტობა სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით;

გაავრცელოს მოსახლეობაში მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნა;

ეწეოდეს სტუდენტთა ფიზიკურ მომზადებას და ახორციელებდეს მათი ჯანმრთელობის განმამტკიცებელ ღონისძიებებს.

3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ვალდებულია თავის საქმიანობაში იცავდეს სოციალისტურ კანონებსა და სახელმწიფო დისციპლინას.

კარი I

სტუდენტები

4. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესვლის უფლებით სარგებლობს სსრ კავშირის ყოველი მოქალაქე, რასის, ეროვნების, სქესის, ქონებრივი და სოციალური მდგომარეობისა და სარწმუნოების მიუხედავად, ვისაც საშუალო განათლება აქვს.

5. უნივერსიტეტში მიღება ხდება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული მიღების წესების შესაბამისად.

დღის განყოფილებაზე (წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლება) მიიღებიან მოქალაქენი, რომელთა ასაკი არ აღემატება 35 წელს, ხოლო საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე (წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლება) — ასაკის შეუზღუდავად. სწავლა უნივერსიტეტში უფასოა.

უნივერსიტეტი ამზადებს შემდეგი დარგის სპეციალისტებს:

მათემატიკა

მექანიკა

ასტრონომია

გამოყენებითი მათემატიკა

ფიზიკა

რადიოფიზიკა და ელექტრონიკა

სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკა

ქიმია

გეოგრაფია

მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია

სმელეთის ჰიდროლოგია

გეოლოგიური აგებგმა და სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიება

სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები

ბიოლოგია

ისტორია

ხელოვნების ისტორია და თეორია

ფილოსოფია

ფსიქოლოგია

ქართული ენა და ლიტერატურა

რუსული ენა და ლიტერატურა

ჟურნალისტიკა

კავკასიური ენები

რომანულ-გერმანული ენები და ლიტერატურა:

ა. ინგლისური ენა და ლიტერატურა

ბ. გერმანული ენა და ლიტერატურა

გ. ფრანგული ენა და ლიტერატურა

აღმოსავლეთის ენები და ლიტერატურა:

ა. სემიტოლოგია

ბ. ირანული ენა და ლიტერატურა

გ. თურქული ენა და ლიტერატურა
დ. სომხური ენა და ლიტერატურა
აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობა
სახალხო მეურნეობის დაგეგმვა
მრეწველობის დაგეგმვა
მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა
ვაჭრობის ეკონომიკა
ფინანსები და კრედიტი
სტატისტიკა
საბუხჰალტრო აღრიცხვა
ეკონომიური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაცია
საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონელვაჭრობის ორგანიზაცია
საქონელმცოდნეობისა და სასურსათო საქონელვაჭრობის ორგანიზაცია
სოფლის მეურნეობის ეკონომიკა
ეკონომიური კიბერნეტიკა
პოლიტიკური ეკონომია
შრომის ეკონომიკა
მანქანათმშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია
მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია
რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკა და ორგანიზაცია
სამართლისმცოდნეობა.

6. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:

უფასოდ ისარგებლოს უნივერსიტეტის ლაბორატორიებით, კაბინეტებით, აუდიტორიებით, სამკითხველო დარბაზებითა და სხვა სასწავლო და სასწავლო-დამხმარე დაწესებულებებით, აგრეთვე სპორტული ბაზებითა და ნაგებობებით, სპორტული ინვენტარითა და სხვა მოწყობილობით;

მონაწილეობა მიიღოს იმ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, რომელიც უნივერსიტეტში წარმოებს;

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესის, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, სტუდენტთა შრომითი და სასწავლო დისციპლინის სრულყოფის, სტიპენდიების დანიშვნის, საერთო საცხოვრებელში ადგილების განაწილებისა და სტუდენტთა სწავლებასა და ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში.

სტუდენტი მონაწილეობს უნივერსიტეტის კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებაში: მხატვრული თვითმოქმედების, სპორტული სექციების, სტუდენტთა კლუბებისა და სამეცნიერო-ტექნიკური წრეების მუშაობაში.

7. სტუდენტი მოვალეა:

სისტემატურად და ღრმად ეუფლებოდეს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს არჩეული სპეციალობის მიხედვით, ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და იმაღლებდეს იდეურ-პოლიტიკურ, მეცნიერულ და კულტურულ დონეს;

იძენდეს მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ჩვევებს;

ესწრებოდეს სავალდებულო სასწავლო მეცადინეობებს, დადგენილ ვადებში ასრულებდეს სასწავლო გეგმითა და პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახის დავალებას;

აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, იცავდეს კომუნისტური მორალის პრინციპებს;

ასრულებდეს უნივერსიტეტისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის შინაგანაწესის მოთხოვნებს;

მონაწილეობდეს სამეცნიერო და პოლიტიკური ცოდნის პროპაგანდაში, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოსახლეობაში ეწევა.

8. წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლების განყოფილების სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სტიპენდიით დადგენილი წესის მიხედვით;

ჩამოსულ სტუდენტებს ეძლევათ ბინა საერთო საცხოვრებელში.

9. წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლების განყოფილების სტუდენტები სარგებლობენ მათთვის დაწესებული შეღავათებით.

10. აკადემიური წარმატებისათვის, საზოგადოებრივ საქმიანობასა

და სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის სტუდენტთა წახალისება ხდება სხვადასხვა სახით;

სასწავლო დისციპლინის, შინაგანაწესის მოთხოვნებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევისათვის სტუდენტს შეიძლება დაედოს დისციპლინური სასჯელი მოქმედი წესის მიხედვით.

სტუდენტს, რომელიც სახელმწიფო გამოცდებს ჩააბარებს ან სადიპლომო შრომას დაიცავს, სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით ენიჭება კვალიფიკაცია მიღებული სპეციალობის შესაბამისად და ეძლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომი, აგრეთვე სათანადო სამკერდე ნიშანი.

11. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს მიუჩენენ სამუშაოს მიღებული სპეციალობის კვალობაზე, ახალგაზრდა სპეციალისტთა პერსონალური განაწილების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად.

ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარმოებისაგან მოწვევეტით დაამთავრებენ და სამუშაოდ განაწილდებიან, ვალდებული არიან იმუშაონ მიჩენილ ადგილას არანაკლებ სამი წლისა.

12. უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, შეუძლიათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდნენ საერთო წესით. უნივერსიტეტში ყოფნისას ისინი სარგებლობენ იმავე უფლებებით და აკისრიათ იგივე ვალდებულებანი, რაც დადგენილია ამ წესდებითა და უმაღლესი სასწავლებლის დებულებით.

თუ სსრ კავშირსა და შესაბამის უცხო სახელმწიფოებს შორის დადებული შეთანხმება სხვა წესს ითვალისწინებს, მოქმედებს ამ შეთანხმების წესები.

ᲙᲐᲠᲘ II

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ-ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘ

13. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოღებულია პროფესორ-მასწავლებელთა, მეცნიერ თანამშრომელთა და დამხმარე სას-

წავლო-სამეცნიერო პერსონალის შემდეგი საშტატო თანამდებობანი: კათედრის პროფესორი, პროფესორ-კონსულტანტი, დოცენტი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი, ასისტენტი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი ლაბორანტი, ლაბორანტი, უფროსი პრეპარატორი, პრეპარატორი და სხვ.

14. პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერ თანამშრომელთა ვაკანტური თანამდებობის დაკავება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოებს კონკურსის წესით. ხელახალი ვადით ამ თანამდებობის მუშაკებს ირჩევენ სამეცნიერო საბჭოები.

შტატის პროფესორ-მასწავლებელთა განთავისუფლება სამუშაოს შემცირების გამო შეიძლება მხოლოდ სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ.

15. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და მეცნიერ თანამშრომლებს უფლება აქვთ:

ისარგებლონ უნივერსიტეტის ლაბორატორიებით, კაბინეტებით, აუდიტორიებით, სამკითხველო დარბაზებით, ბიბლიოთეკებითა და სხვა სამეცნიერო და სასწავლო-დამხმარე ბაზით;

შეიმუშაონ და წამოაყენონ წინადადებანი უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო-პედაგოგიური და აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფისათვის; მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო-მეთოდური საბჭოებისა და კომისიების მუშაობაში;

დადგენილი წესების შესაბამისად მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო და ეროვნული კონფერენციების, ყრილობებისა და თათბირების მუშაობაში.

16. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერი თანამშრომლები მოვალენი არიან:

თავის სპეციალობაში სასწავლო და მეთოდური მუშაობა აწარმოონ მაღალიდეურ და მეცნიერულ დონეზე;

ეწეოდნენ სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას;

აწარმოონ მეცნიერული კვლევა-ძიება და ხელი შეუწყონ მისი შედეგების დანერგვას სახალხო მეურნეობაში;

სისტემატურად იმუშაონ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად;

სულ უფრო სრულყონ თავიანთი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება, სამეცნიერო მუშაობის მეთოდები და პედაგოგიური

ოსტატობა, პროფესორებმა ამასთანავე მოამზადონ სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები;

დაეხმარონ სტუდენტებს დამოუკიდებელ მუშაობაში, უხელმძღვანელონ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;

გაავრცელონ მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნა მოსახლეობაში.

17. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე მის სასწავლო-სამეცნიერო და საწარმოო ქვედანაყოფებში სასწავლო-დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამეურნეო თანამდებობათა დაკავება ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით საშტატო განრიგის შესაბამისად.

სასწავლო-დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება შინაგანაწესითა და სათანამდებობო ინსტრუქციებით.

კ ა რ ი III

სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება

18. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დადგენილი წესის შესაბამისად ახორციელებს სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას:

ა) დასწრებული, დაუსწრებელი და აგრეთვე მიზნობრივი ასპირანტურის გზით;

ბ) უნივერსიტეტის იმ მასწავლებლებისა და მეცნიერი თანამშრომლების ჩარიცხვით ერთწლიან ასპირანტურაში, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო გამოცდები და დისერტაციის დასამთავრებლად ერთი წელი ესაჭიროებათ;

გ) უნივერსიტეტში მომუშავე მეცნიერებათა კანდიდატების ორი წლით მეცნიერ თანამშრომლებად გადაყვანით სადოქტორო დისერტაციის დასამთავრებლად;

დ) შემოქმედებითი შვებულების მიცემით დისერტაციის დასამთავრებლად: საკანდიდატოსათვის — სამ თვემდე, ხოლო სადოქტოროსათვის — ექვს თვემდე;

ე) სტაჟირებისათვის სპეციალური დისციპლინების მასწავლებელთა მივლინებით მოწინავე საწარმოებსა და დაწესებულებებში, წამყვან

უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში;

ვ) საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სპეციალისტების, აგრეთვე სხვა უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაკების მიმაგრებით სათანადო კათედრებთან, რომლებიც დაეხმარებიან მათ საკანდიდატო მინიმუმის საგნების მომზადებასა და მეცნიერული გამოკვლევების შესრულებაში.

19. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამზადებს ასპირანტებს მეცნიერების შემდეგი დარგებისა და სპეციალობათა მიხედვით:

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებანი

ფუნქციური ანალიზი და ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებანი, ალგებრა და რიცხვთა თეორია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, გეომეტრია და ტოპოლოგია, მათემატიკური ლოგიკა, გამოთვლითი მათემატიკა, გამოთვლითი კომპლექსების მათემატიკური უზრუნველყოფა და «მასი»[1], მათემატიკური კიბერნეტიკა, თეორიული მექანიკა, მექანიზმებისა და მანქანათა ავტომატიზირებული ხაზები, სამშენებლო მექანიკა და მანქანათა გამძლეობა, დეფორმირებული მყარი სხეულების მექანიკა, სითხეების, გაზისა და პლაზმების მექანიკა; მანქანებისა და ხელსაწყო-აპარატურის სიმტკიცისა და საიმედოობის დინამიკა, ასტრონომია, ასტრომეტრია და ციური მექანიკა, ასტროფიზიკა, რადიოასტრონომია, ექსპერიმენტული ფიზიკა, თეორიული და მათემატიკური ფიზიკა, რადიოფიზიკა (კვანტური რადიოფიზიკითურთ), მყარი სხეულის ფიზიკა, პლაზმის ფიზიკა, გეოფიზიკა, ელექტროფიზიკა, ატომური ბირთვისა და კოსმოსური სხივების ფიზიკა, ნახევარგამტართა ფიზიკა და დიელექტრიკების ფიზიკა;

ქიმიის მეცნიერებანი

არაორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, ორგანული ქიმია; ფიზიკური ქიმია, ელექტროქიმია, პოლიმერების ფიზიკა და მექანიკა, ელემენტორგანულ ნაერთთა ქიმია, რადიაციული ქიმია, ბუნებრივ და ფიზიოლოგიურ აქტიურ ნაერთთა ქიმია, ჰიდროქიმია, ნავთობის და ნავ-

---

[1] მართვის ავტომატური სისტემა;

თობქიმიური სინთეზის ქიმია, რადიოქიმია, ქიმიური კინეტიკა და კატალიზი. მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია, კოლოიდური ქიმია;

ტექნიკის მეცნიერებანი

რადიოტექნიკის თეორიული საფუძვლები, გამოთვლითი ტექნიკა, კვების პროდუქტების საქონელმცოდნეობა; სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა; ჰიდრავლიკა და საინჟინრო ჰიდროლოგია;

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებანი

გეოლოგია, პეტროგრაფია, ლითოლოგია და მინერალოგია, პალეონტოლოგია და სტრატიგრაფია, სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები;

გეოგრაფიის მეცნიერებანი

ფიზიკური გეოგრაფია, სსრ კავშირის ეკონომიური გეოგრაფია, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური გეოგრაფია, გეომორფოლოგია და პალეოგეოგრაფია, ხმელეთის ჰიდროლოგია, ოკეანოლოგია, მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია და აგრომეტეოროლოგია;

ბიოლოგიის მეცნიერებანი

ბიოფიზიკა, ბიოქიმია, ბოტანიკა, ვირუსოლოგია, მიკრობიოლოგია, ზოოლოგია, ენტომოლოგია, ემბრიოლოგია და ჰისტოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია, ანტროპოლოგია, გენეტიკა, ციტოლოგია, პარაზიტოლოგია, ჰელმინთოლოგია.

ისტორიის მეცნიერებანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, მსოფლიო ისტორია, სსრ კავშირის ისტორია, საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია;

ეკონომიური მეცნიერებანი

პოლიტიკური ეკონომია, ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია, სახალხო მეურნეობის ისტორია, სახალხო მეურნეობის ეკონომიკა, ორ-

განიზაცია და დაგეგმვა (დარგების მიხედვით), მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა (დარგების მიხედვით), შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ეკონომიკა, ფინანსები, ფულადი მიმოქცევა და კრედიტი, სტატისტიკა, საბუხჰალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, აღრიცხვასა და გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაცია, მათემატიკური მეთოდები ეკონომიურ გამოკვლევებში; კაპიტალდაბანდების და ახალი ტექნიკის ეფექტურობა; მსოფლიო სოციალისტური მეურნეობა და საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა.

ფილოსოფიის მეცნიერებანი

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მეცნიერული კომუნიზმის თეორია, ფილოსოფიის ისტორია, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა, მარქსისტულ-ლენინური ეთიკა, მეცნიერული ათეიზმი, ლოგიკა, ბუნებისმეტყველების ფილოსოფიური საკითხები; გამოყენებითი სოციოლოგია.

ფილოლოგიის მეცნიერებანი

საბჭოთა ლიტერატურა, რუსული ლიტერატურა, ქართული ლიტერატურა, სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურა, საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების ლიტერატურა, დასავლეთ ევროპისა, ამერიკისა და ავსტრალიის ქვეყნების ლიტერატურა, აზიის ხალხთა ლიტერატურა, ლიტერატურის თეორია, ფოლკლორისტიკა, ქართული ენა, რუსული ენა, სსრ კავშირის ხალხთა ენები, გერმანული ენები, რომანული ენები, თურქული ენები, ირანული ენები, კავკასიური ენები, კლასიკური ენები (ბერძნული, ლათინური), სემიტური ენები, ენათმეცნიერების თეორია, ჟურნალისტიკა, სტრუქტურული, გამოყენებითი და მათემატიკური ლინგვისტიკა;

იურიდიული მეცნიერებანი

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და ისტორია, პოლიტმოძღვრებათა ისტორია, სახელმწიფო სამართალი და მმართველობა, ადმინისტრაციული და ფინანსური სამართალი, საპროკურორო ზე-

დახმედველობა, საბჭოთა აღმშენებლობა, სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო სამართლის პროცესი, შრომის სამართალი, სოციალური უზრუნველყოფის სამართალი, სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი, შრომა-გასწორების სამართალი, საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი, კრიმინალისტიკა, კრიმინოლოგია, სამეურნეო სამართალი;

პედაგოგიკის მეცნიერებანი

პედაგოგიკის თეორია, სწავლების მეთოდიკა (დარგობრივი);

ფსიქოლოგიის მეცნიერებანი

ზოგადი ფსიქოლოგია, შრომის ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია;

ხელოვნებათმცოდნეობა

თეატრალური ხელოვნება, სახვითი ხელოვნება, ტექნიკური ესთეტიკა, მუსიკალური ხელოვნება, კინოხელოვნება, დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნება, მუზეუმმცოდნეობა.

კარი IV

სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა

20. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამზადებს სპეციალისტებს სწავლების შემდეგი ფორმით:

ა) წარმოებისაგან მოწყვეტით — დღის განყოფილება.

ბ) წარმოებისაგან მოუწყვეტლად—საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილება.

21. სასწავლო მუშაობა მიმდინარეობს სათანადოდ დამტკიცებული გეგმისა და პროგრამების შესაბამისად.

22. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესებულია სასწავლო მუშაობის შემდეგი სახეები:

ლექცია;

ლაბორატორიული, პრაქტიკული მეცადინეობა და სემინარი;

სასწავლო პრაქტიკა;

საწარმოო პრაქტიკა;
საკურსო სამუშაო;
კონსულტაცია;
საკონტროლო სამუშაო;
სტუდენტთა დამოუკიდებელი მეცადინეობა;
სადიპლომო შრომა.

23. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება პრაქტიკის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად.

24. დღისა და საღამოს განყოფილებათა სასწავლო წელი შედგება ორი სემესტრისაგან; თითოეული სემესტრი მთავრდება საგამოცდო სესიით. სასწავლო მეცადინეობა მიმდინარეობს ცხრილის მიხედვით, რომელიც მთელი სემესტრისათვის დგება.

დაუსწრებელი სწავლების სასწავლო წელი ვახისაზღვრება სასწავლო გეგმით.

ლაბორატორიულ-საგამოცდო სესიები დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის ეწყობა რამდენიმე ნაკადად სპეციალობათა, კურსებისა თუ სასწავლო ჯგუფების ურთიერთშენაცვლებით.

დღისა და საღამოს განყოფილებათა სტუდენტებისათვის დაწესებულია არდადეგები წელიწადში ორჯერ, სულ 7—10 კვირით, დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის კი — 8—10 კვირით. არდადეგების ვადა და ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო გეგმით, სპეციალობათა მიხედვით.

25. სტუდენტთა აკადემიური წარმატება შემდეგი ნიშნებით ფასდება: «ფრიადი», «კარგი», «დამაკმაყოფილებელი», «არადამაკმაყოფილებელი».

სტუდენტები კურსიდან კურსზე გადაჰყავს ფაკულტეტის დეკანს საკურსო გამოცდებისა და ჩათვლების შესახებ დებულების შესაბამისად.

26. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოებს სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა, რომლის მიზანია სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესება, პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფა, სასწავლო პროცესის მეცნიერული ორგანიზაციის დამუშავება თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.

კარი V

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

27. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი ამოცანები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემდეგია:

თეორიული პრობლემების დამუშავება;

სახალხო მეურნეობისათვის მეტად აქტუალური პრობლემების გადაწყვეტა;

კომუნისტური მშენებლობის გამოცდილების შესწავლა და განზოგადება;

სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნა;

სამეცნიერო-მეთოდური ხასიათის კვლევითი სამუშაოების შესრულება.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს თავის გამოკვლევათა შედეგების დანერგვას სახალხო მეურნეობაში, აგრეთვე ეწევა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევების პროპაგანდას.

28. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ეწყობა და წარიმართება უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და მათი სამეცნიერო ქვედანაყოფების საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ხორციელდება თემატიკური გეგმით, რომელსაც იხილავს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს რექტორი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები შეტანილია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროების უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო სამუშაოთა გეგმებში.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაფინანსება ხდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტით, ისე იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრებით, რომელთათვისაც ეს სამუშაოები სრულდება სათანადო სამეურნეო ხელშეკრულების საფუძველზე.

კარი VI

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფლებები

29. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფლებებს ახორციელებს რექტორი და მოვალეობათა დადგენილი განაწილების შესაბამისად — პრორექტორები, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ეს უფლებები ხორციელდება უნივერსიტეტის გაერთიანებულ პროფკომთან შეთანხმებით ან მისი მონაწილეობით.

30. სასწავლო, სამეცნიერო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უფლება აქვს:

ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებისამებრ განსაზღვროს დამტკიცებული სასწავლო გეგმების საფუძველზე სასწავლო დისციპლინების ნუსხა, ამასთანავე დაადგინოს ყოველ დისციპლინაში საათების რაოდენობა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მთელი დროის ბიუჯეტის ფარგლებში;

დაადგინოს სტუდენტთა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კალენდარული ვადები იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ადგილობრივი პირობებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, სადაც პრაქტიკა მოეწყობა;

შეიმუშაოს სასწავლო, სამეცნიერო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი სრულყოფის წინადადებანი და საჭირო შემთხვევაში განსახილველად წარუდგინოს ისინი ზემდგომ ორგანოებს;

გამოსცეს სასწავლო გეგმები და პროგრამები, მეთოდური მითითებანი, დავალებები სტუდენტთათვის და სხვა სასწავლო-მეთოდური მასალები;

გამოსცეს სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა, სამეცნიერო ნაშრომთა კრებულები, სამეცნიერო კონფერენციათა მასალები, ლექციების ტექსტები, სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები;

დადოს ხელშეკრულებანი სამეურნეო-სახელშეკრულებო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულების შესახებ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დადგენილი წესის მიხედვით:

F-49053

აწყობს კურსებს უნივერსიტეტში შემსვლელთა მოსამზადებლად;

იწვევს სამეცნიერო და მეთოდურ კონფერენციებსა და თათბირებს.

ცვლის სასწავლო და მეცნიერულ გამოცემებს და ახორციელებს სხვა სახის კავშირს ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებთან;

გზავნის თავის წარმომადგენლებს საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო კონგრესებსა და კონფერენციებზე;

კავშირს ამყარებს საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და სამეცნიერო საზოგადოებებთან.

31. კაპიტალური მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის დარგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კაპიტალური მშენებლობა და ძირითადი ფონდების რეკონსტრუქცია სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა ორგანიზაციებთან სანარდო ხელშეკრულების დადებით. იმ შემთხვევაში, როცა კაპიტალური მშენებლობის სამუშაოთა სანარდო წესით შესრულება ეკონომიურად არ არის მიზანშეწონილი, დასაშვებია ეს სამუშაოები შეასრულოს სამეურნეო წესით;

ბ) კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის ასიგნებათა გარდა გამოიყენოს დადგენილი წესით ის თანხა, რაც სამეურნეო-სახელშეკრულებო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულების შემდეგ რჩება და მას ეძლევა;

გ) ხელშეკრულებით გადასცეს ორგანიზაციებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება, შესაბამისი ლიმიტები შრომის დარგში, ფონდები და მასალები და ამის შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს;

დ) დადოს ხელშეკრულება საპროექტო ორგანიზაციებთან საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამუშავებლად და დაამტკიცოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დადგენილი წესით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამტკიცებს სატიტულო სიებს:

ყველა იმ ობიექტისას, რომლებიც სამეურნეო-სახელშეკრულებო

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შემდეგ დარჩენილი თანხით შენდება;

იმ საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მეურნეობის ობიექტებისას, რომლებიც ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებით შენდება;

შრომის დაცვის უზრუნველყოფის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის სამუშაოებისას უნივერსიტეტის გაერთიანებულ პროფკომთან შეთანხმებით;

შიდასამეურნეო შენობებისა და ნაგებობებისას (მენარდე ორგანიზაციასთან შეთანხმებით).

ე) მენარდე ორგანიზაციასთან შეთანხმებით დაამტკიცოს ფასები იმ ცალკეულ სამუშაოთა ასანაზღაურებლად, რომელთა შესრულება საჭირო აღმოჩნდება მშენებლობის პროცესში, თუ დადგენილი წესით ეს ფასები დამტკიცებული არ არის;

ვ) რექტორისა და გაერთიანებული პროფკომის შეთანხმებული გადაწყვეტილებით გამოიყენოს ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისათვის იმ სახსრების ნაწილი, რაც ცენტრალიზებული წესით გამოყოფილია საბინაო მშენებლობისათვის;

ზ) სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან და ორგანიზაციებთან გააერთიანოს ის სპეციალური სახსრები, რომლებიც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის არის მის განკარგულებაში კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის ასიგნებათა გარეშე, გააერთიანოს აგრეთვე სპორტულ ნაგებობათა და გამაჯანსაღებელ-სპორტული ბანაკების შექმნისა და გაფართოებისათვის და კაპიტალური მშენებლობისათვის (დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე) გამოყოფილი სახსრები, რათა ერთობლივად იქნეს აშენებული (წილობრივი მონაწილეობის წესით) საცხოვრებელი სახლები, ახალი სპორტული ნაგებობანი, სამედიცინო და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებანი, პიონერთა ბანაკები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტები;

თ) ჩაატაროს ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტი როგორც სამეურნეო, ისე სანარდო წესით. კაპიტალური რემონტის გეგმასა და შესაბამის საფინანსო-სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტმა კაპიტალური რემონტის ჩა-

ტარება მენარდე ორგანიზაციას დაავალა, უნივერსიტეტს უფლება აქვს გადასცეს ამ ორგანიზაციას შესაბამისი შრომითი ლიმიტი, ფონდები და მასალები, შემდეგ კი ეს აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს.

32. ფინანსების დარგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უფლება აქვს:

ა) საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის დადგენილი წესით ჩამოწეროს ბალანსიდან:

მორალურად მოძველებული, გაცვეთილი და შემდგომი ხმარებისათვის უვარგისი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი და ინსტრუმენტები, თუკი ამ ქონების აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიურად მიზანშეუწონელია და მისი რეალიზაცია არ ხერხდება;

ახალი ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით აღებული და აგრეთვე დაძველებული შენობები თუ ნაგებობანი;

ბ) საბიუჯეტო სახსრების მიხედვით დამტკიცებული საგასავლო ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში დაამტკიცოს და გადაანაწილოს ხარჯები ყველა მუხლის მიხედვით, გარდა ხელფასის ფონდისა, ხელფასის დანარიცხებისა, სასტიპენდიო ფონდის სახსრებისა, კაპიტალური რემონტისა და ინვენტარ-მოწყობილობის შეძენის ხარჯებისა, აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებათა გარდა;

გ) სტრუქტურულ სამეცნიერო ქვედანაყოფებს, რომლებიც არსებული წესით მეცნიერთა შრომის ანაზღაურების მხრივ სამეცნიერო დაწესებულებათა კატეგორიას მიეკუთვნება, განუსაზღვროს გასავლის ოდენობანი ხარჯთაღრიცხვის მუხლების მიხედვით თითოეული მათგანისათვის დასახარჯად დამტკიცებული საერთო თანხის ფარგლებში, გარდა ხელფასის ფონდისა, აგრეთვე დაამტკიცოს საგასავლო ხარჯთაღრიცხვა და შეიტანოს მასში ცვლილებანი, კერძოდ, გაადიდოს თანხები სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო მოწყობილობისა და მასალების შესაძენად ხარჯთაღრიცხვის სხვა მუხლებით გაწეული მომჭირნეობის (ხელფასის ფონდის ეკონომია და სხვ.) ხარჯზე;

დ) იმ ქვედანაყოფებს, რომელთა შენახვას ბიუჯეტგარეშე (სპეციალური) სახსრების ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებს, დამტკიცებული საგასავლო ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში დაუმტკიცოს და გაუნაწილოს ყველა მუხლის ხარჯები ბიუჯეტგარეშე (სპეციალური) სახსრების თითოეული სახეობის მიხედვით ცალ-ცალკე, გარდა ხელფასის

ფონდისა, ხელფასის დანარიცხებისა, სამივლინებო ხარჯებისა და ბიუ-ჯეტის საშემოსავლო შესატანისა;

ე) საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით გამოიყენოს სახსრები სასტიპენდიო ფონდის ერთ პროცენტამდე იმ სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად, რომ-ლებიც დროებით ხელმოკლედ არიან, აგრეთვე სწავლაში, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მუშაობაში წარმატებისათვის მათი წახალისების მიზნით;

ვ) მიავლინოს დადგენილი წესისამებრ სამეცნიერო-პედაგოგიუ-რი მუშაკები სხვა ქალაქებსა და რესპუბლიკებში.

33. შრომისა და ხელფასის დარგში თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტს უფლება აქვს:

შეიმუშაოს და დაამტკიცოს თვით უნივერსიტეტისა და მისი იმ ქვედანაყოფების შტატები, რომლებიც მეცნიერ-მუშაკთა შრომის ანა-ზღაურების მხრივ სამეცნიერო დაწესებულებათა კატეგორიას მიეკუთ-ვნება, მუშაკთა საერთო რაოდენობისა და პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასის ფონდის, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამეურნეო, სასწავ-ლო-დამხმარე და სხვა პერსონალის საერთო რაოდენობისა და ხელ-ფასის ფონდის იმ ფარგლებში, რაც ზემდგომი ორგანოს მიერ არის დაწესებული;

დაამტკიცოს და შეცვალოს სასწავლო-დამხმარე, სასწავლო-საწარ-მოო, სამეცნიერო-ტექნიკური და ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერ-სონალის ხელფასის განაკვეთები დადგენილი წესით, თანამდებობრივ განაკვეთთა სქემის შესაბამისად, ამ პერსონალისათვის განსაზღვრული მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის იმ ფონდის ფარგლებში, რომე-ლიც გამოანგარიშებულია თანამდებობრივ განაკვეთთა სქემის საშუა-ლო განაკვეთების მიხედვით;

დაამტკიცოს და შეცვალოს თავისი იმ სამეცნიერო ქვედანაყოფე-ბის მუშაკთა ხელფასის განაკვეთები, რომლებიც მეცნიერ მუშაკთა შრომის ანაზღაურების მხრივ სამეცნიერო დაწესებულებათა კატეგო-რიას განეკუთვნება, დადგენილი წესით, თანამდებობრივ განაკვეთთა სქემის შესაბამისად, ხელფასის ფონდის ფარგლებში;

მაქსიმალური მომჭირნეობის გათვალისწინებით შეიმუშაოს ადმი-ნისტრაციულ-სამეურნეო საგასავლო ხარჯთაღრიცხვა ხელფასის ფონდისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ასიგნებათა იმ

ფარგლებში, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ. შტატების, განაკვეთებისა და აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამმართველო საგასავლო ხარჯთაღრიცხვა არ საჭიროებს საფინანსო ორგანოებში რეგისტრაციას; მას ამტკიცებს და ცვლის უნივერსიტეტის რექტორი.

პროფესორ-მასწავლებელთა შტატის არასრულად დაკომპლექტების შემთხვევაში გაადიდოს სასწავლო მუშაობის შესაბამისი მოცულობის შესასრულებლად საათობრივი ფონდი პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში ვაკანტურ თანამდებობათა ხარჯზე იმ პირთათვის, რომლებიც უნივერსიტეტის საშტატო მასწავლებლებად არ ითვლებიან.

ეს ხარჯი ანგარიშში აღინიშნოს ცალკე სტრიქონად.

მოიწვიოს პედაგოგიურ სამუშაოზე შრომის საათობრივი ანაზღაურების წესით მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწენი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერი თანამშრომლები და სახალხო მეურნეობაში მომუშავე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

კარი VII

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურა

34. უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ-სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ფაკულტეტი. ფაკულტეტები ამზადებენ სტუდენტებსა და ასპირანტებს მონათესავე სპეციალობებში.

ფაკულტეტი აერთიანებს შესაბამის კათედრებსა და ლაბორატორიებს და ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას.

ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიძლება შეიქმნას განყოფილებები სასწავლო მუშაობის მოსაწყობად ცალკეულ სპეციალობათა მიხედვით (სტუდენტთა დიდი რაოდენობისა და რამდენიმე სპეციალობის დროს) ან სწავლების სხვადასხვა ფორმათა (დღის, საღამოს, დაუსწრებელი სწავლების) კვალობაზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არის შემდეგი ფაკულტეტები: მექანიკა-მათემატიკისა, კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკისა, ფიზიკისა, ქიმიისა, გეოგრაფია-გეოლოგიისა, ბიოლოგი-

ისა, ისტორიისა, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიისა, ფილოლოგიისა, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურისა, აღმოსავლეთმცოდნეობისა, ეკონომიური, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობისა, საინჟინრო-ეკონომიური, იურიდიული, უმაღლესი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა, საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა; მოსამზადებელი განყოფილება. ამას გარდა საზოგადოებრივ საწყისებზე არსებობს ხელოვნების ფაკულტეტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებობს აგრეთვე წარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები.

35. კათედრა არის ფაკულტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ახორციელებს სასწავლო, მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ერთ ან რამდენიმე მონათესავე დისციპლინაში, ხელმძღვანელობს სტუდენტთა შორის აღმზრდელობით მუშაობას, აგრეთვე სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი კათედრები:

I. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე

1. მათემატიკური ანალიზისა
2. დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებებისა
3. გეომეტრიისა და ალგებრისა
4. ზოგადი მათემატიკისა
5. თეორიული მექანიკისა
6. ასტრონომიისა
7. მიახლოებითი ანალიზისა და გამოთვლითი ტექნიკისა
8. ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციური ანალიზისა
9. მათემატიკის დაფუძნებისა და მეთოდიკისა
10. ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკისა

II. კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე

1. თეორიული კიბერნეტიკისა
2. კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის უმაღლესი მათემატიკისა
3. სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკისა
4. გამოყენებითი კიბერნეტიკისა
5. მართვის თეორიისა
6. შემთხვევით პროცესთა თეორიისა
7. ელექტრონული გამომთვლელი მანქანების მათემატიკური უზრუნველყოფისა

III. ფიზიკის ფაკულტეტზე

1. ზოგადი ფიზიკისა № 1
2. ზოგადი ფიზიკისა № 2
3. მყარი სხეულის ფიზიკისა
4. რადიოფიზიკისა
5. რადიოტექნიკისა
6. ბირთვული ფიზიკისა
7. თეორიული ფიზიკისა
8. ექსპერიმენტული ფიზიკისა
9. გეოფიზიკისა
10. უმაღლესი მათემატიკისა
11. გამოყენებითი ბირთვული ფიზიკისა

IV. ქიმიის ფაკულტეტზე

1. არაორგანული და ზოგადი ქიმიისა
2. ორგანული ქიმიისა
3. ანალიზური ქიმიისა
4. ფიზიკური ქიმიისა
5. მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიისა

V. გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე

1. გეომორფოლოგიისა
2. ფიზიკური გეოგრაფიისა

3. ეკონომიური გეოგრაფიისა
4. ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგმცოდნეობისა
5. მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია-ოკეანოლოგიისა
6. გეოლოგიისა და პალეონტოლოგიისა
7. მინერალოგიისა და პეტროგრაფიისა
8. სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდებისა
9. კარტოგრაფიისა და გეოდეზიისა

VI. ბიოლოგიის ფაკულტეტზე

1. ბოტანიკისა
2. მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ანატომიისა
3. უხერხემლოთა ზოოლოგიისა
4. ხერხემლიანთა ზოოლოგიისა
5. ციტოლოგიის, ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიისა
6. გენეტიკისა
7. ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიისა
8. ბიოქიმიისა
9. მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიისა
10. ბიოფიზიკისა

VII. ისტორიის ფაკულტეტზე

1. სკკპ ისტორიისა № 1
2. სკკპ ისტორიისა № 2
3. მეცნიერული კომუნიზმისა
4. საქართველოს ისტორიისა
5. სსრ კავშირის ისტორიისა
6. ძველი ქვეყნების ისტორიისა
7. შუა საუკუნეების ისტორიისა
8. ახალი ისტორიისა
9. არქეოლოგიისა
10. ხელოვნებათმცოდნეობისა
11. ეთნოგრაფიისა

VIII. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე

1. დიალექტიკური მატერიალიზმისა
2. ისტორიული მატერიალიზმისა
3. ფილოსოფიის ისტორიისა და ლოგიკისა
4. ფსიქოლოგიისა
5. ეთიკისა და მეცნიერული ათეიზმისა
6. ესთეტიკისა
7. პედაგოგიკისა
8. კონკრეტულ-სოციალურ გამოკვლევათა მეთოდიკისა
9. შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიისა

IX. ფილოლოგიის ფაკულტეტზე

1. ძველი ქართული ენისა
2. ახალი ქართული ენისა
3. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა
4. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიისა
5. კავკასიური ენებისა
6. ზოგადი ენათმეცნიერებისა
7. კლასიკური ფილოლოგიისა
8. რუსული ენისა № 1
9. რუსული ენისა № 2
10. რუსული ლიტერატურის ისტორიისა
11. ჟურნალისტიკისა
12. ქართული საბჭოთა ლიტერატურისა
13. ფოლკლორისტიკისა

X. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე

1. ინგლისური ფილოლოგიისა
2. გერმანული ფილოლოგიისა
3. ფრანგული ფილოლოგიისა
4. ინგლისური ენისა ჰუმანიტარული ფაკულტეტებისათვის
5. ინგლისური ენისა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებისათვის
6. გერმანული ენისა ჰუმანიტარული ფაკულტეტებისათვის
7. გერმანული ენისა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებისათვის
8. ფრანგული ენისა

XI. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე

1. სემიტოლოგიისა
2. ირანული ფილოლოგიისა
3. თურქოლოგიისა
4. არმენოლოგიისა
5. აღმოსავლეთის ისტორიისა

XII. ეკონომიურ ფაკულტეტზე

1. პოლიტიკური ეკონომიისა
2. სახალხო მეურნეობისა და ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორიისა
3. ფინანსებისა და კრედიტებისა
4. სტატისტიკისა
5. საბუხჰალტრო აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზისა

XIII. საინჟინრო-ეკონომიურ ფაკულტეტზე

1. პოლიტიკური ეკონომიისა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებისათვის
2. უმაღლესი მათემატიკისა
3. ეკონომიური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციისა
4. ეკონომიური კიბერნეტიკისა
5. წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიისა
6. სოციალისტური წარმოების ორგანიზაციის მართვისა და დაგეგმვისა

XIV. სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტზე

1. სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრა
2. სსრკ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და შრომის ეკონომიკისა

XV. ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე

1. ვაჭრობისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკისა
2. საქონელმცოდნეობისა
3. პოლიტიკური ეკონომიისა ჰუმანიტარული ფაკულტეტებისათვის

XVI. იურიდიულ ფაკულტეტზე

1. სახელმწიფო სამართლის თეორიისა და ისტორიისა
2. სახელმწიფო სამართლისა
3. სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესისა
4. სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესისა

XVII. საერთო-საუნივერსიტეტო

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტისა
2. სპეცმომზადებისა
3. სამოქალაქო თავდაცვისა.

36. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შემდეგი ადმინისტრაციულ-სამმართველო განყოფილებები და ორგანიზაციები:

სასწავლო ნაწილი, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განყოფილება, ასპირანტურა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო ურთიერთობის განყოფილება, კადრების განყოფილება, პირველი განყოფილება, საქმეთა მმართველობა, ბუხჰალტერია, მომარაგების განყოფილება, საექსპლოატაციო-ტექნიკური განყოფილება, სამეურნეო განყოფილება, სტუდენტთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი (გუდაუთაში «ოქროს სანაპიროზე»), გეგეჭკორის სასწავლო-საწარმოო ბაზა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებობს გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი და შემდეგი პრობლემური ლაბორატორიები. კიბერნეტიკის, ნახევარგამტართა ფიზიკის, მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის, ფოტოსინთეზის, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები: დაბალი ტემპერატურის ფიზიკის, იონოსფეროს ფიზიკის, კოსმოსური სხივების ფიზიკის, გამოყენებითი ბირთვული ფიზიკისა და ექსპერიმენტული ფონეტიკის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს:

ა) სასწავლო დანიშნულების ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორია, ზეპირსიტყვიერების ლაბორატორია, ტოპონომიკის ლაბორატორია (ახალი ქართული ენის კათედრასთან), ფიზიკურ-გეოგრაფიული სტაციონარი (მარტყოფში), მეტეოროლოგიური სადგური, კინოტელე-ფოტო ლაბორატორია, პოლიტიკური ეკონომიის კაბინეტი, სსრ კავშირის ისტორიის კაბინეტი, მეცნიერული კომუნიზმის კათედრის კაბინეტი, აგრეთვე ფაკულტეტებისა და კათედრების სხვა შესაბამისი სასწავლო ლაბორატორიები.

ბ) მინერალოგიისა და პეტროგრაფიის მუზეუმი, ბოტანიკის მუზეუმი, ზოოლოგიის მუზეუმი და ზოგადი ფიზიკის № 1 კათედრის სადემონსტრაციო მუზეუმი.

37. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დამოუკიდებელ ბალანსზე არსებობს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, გამომცემლობა და სტამბა.

38. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტები, კათედრები, ორგანიზაციები და განყოფილებები თავიანთ საქმიანობას ეწევიან სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულებების საფუძველზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს აარსებს ან აუქმებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო დადგენილი წესის მიხედვით.

ახალ სპეციალობებს, რომელთა მიხედვით უნივერსიტეტი სპეციალისტებს უნდა ამზადებდეს, ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურაში შეტანილი ყოველი ცვლილება უნდა აისახოს უნივერსიტეტის წესდებაში.

კარი VIII

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა

39. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთელ საქმიანობას ხელმძღვანელობს რექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო სამეცნიერო ხარისხისა და წოდების და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მქონე ყველაზე კვალიფიციურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაკთაგან.

40. რექტორი წარმართავს უნივერსიტეტის მთელ მუშაობას. მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის მდგომარეობისა და საქმიანობისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მოქმედებს უნივერსიტეტის სახელით სპეციალური რწმუნების გარეშე და წარმოადგენს მას ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად იგი განაგებს უნივერსიტეტის ქონებასა და სახსრებს, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობას (სხვისთვის მისი გადაცემის უფლებითაც), გახსნის უნივერსიტეტის საბიუჯეტო და სხვა ანგარიშებს ბანკებში.

რექტორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ნიშნავს და ათავისუფლებს მუშაკებს გარდა პრორექტორებისა და მთავარი ბუხჰალტრისა, რომელთა დანიშვნა-განთავისუფლება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კომპეტენციაა.

41. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ევალება:

სასწავლო გეგმებისა და პროგრამების, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმების შესრულების კონტროლი;

იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობა;

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ხელმძღვანელობა;

სტუდენტთა და ასპირანტთა მიღება, გამოშვება, გარიცხვა და აღდგენა;

სასწავლო მეცადინეობის ცხრილის დამტკიცება და მისი შესრულების კონტროლის ორგანიზაცია;

ლექციების, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობის, სემინარების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკისა და სხვა სახის სასწავლო მუშაობის ხარისხის მიმართ კონტროლის ორგანიზაცია;

შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით ფრიადოსან სტუდენტთა და ასპირანტთა წარდგენა სახელობით სტიპენდიებზე უნივერსიტეტისათვის დამტკიცებული სახელობითი სტიპენდიების ფარგლებში;

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა პერსონალური განაწილების ხელმძღვანელობა;

უნივერსიტეტის მუშაკთა წახალისება ან დასჯა;

უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში გაჯანსაღებისა და შრომის უსაფრთხოების პირობების შექმნის ღონისძიებათა განხორციელება;

უნივერსიტეტის სტუდენტთა, ასპირანტთა და მუშაკთა ფიზიკური აღზრდისა და მათ შორის სპორტულ-მასობრივი მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მეთვალყურეობა;

უნივერსიტეტის სტუდენტთა, ასპირანტთა და მუშაკთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაცია;

ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება უნივერსიტეტის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

42. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორებს სამეცნიერო ხარისხის ან წოდების მქონე ყველაზე კვალიფიციურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაკთაგან ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

პრორექტორებს შორის ფუნქციები განაწილებულია:

სასწავლო დარგის პრორექტორს ევალება სასწავლო პროცესისა და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობის უშუალო ხელმძღვანელობა და კონტროლი.

სამეცნიერო დარგის პრორექტორს ევალება სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობა და კონტროლი.

საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების დარგის პრორექტორს ევალება ამ სახეობათა სასწავლო პროცესისა და მასთან დაკავშირე-

ბული ყოველგვარი საქმიანობის უშუალო ხელმძღვანელობა და კონტროლი, აგრეთვე საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებთან დაკავშირებული საქმიანობის წარმართვა.

უნივერსიტეტის პერსპექტიული განვითარებისა და მშენებლობის დარგის პრორექტორს ევალება ხელმძღვანელობა და კონტროლი პერსპექტიული განვითარებისა და ყველა სახის მშენებლობისა, მათ შორის საბინაოსიც.

ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგის პრორექტორს ევალება ამ დარგის მთელი საქმიანობის უშუალო ხელმძღვანელობა და კონტროლი, აგრეთვე მიმდინარე ფინანსური საკითხების გადაწყვეტა.

43. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს დეკანი, რომელსაც ირჩევს ფაკულტეტის საბჭო ფარული კენჭისყრით პროფესორთა ან ყველაზე გამოცდილ დოცენტთაგან სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

ფაკულტეტის დეკანს ევალება:

ფაკულტეტზე სასწავლო, აღმზრდელობითი, სამეცნიერო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობა;

სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების შესრულების უზრუნველყოფა;

სტუდენტთა აკადემიური წარმატების აღრიცხვის ორგანიზაცია, გამოცდების ვადების განსაზღვრა;

სასწავლო პროცესის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება სტუდენტთა მომზადების ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სტუდენტთა გადაყვანა კურსიდან კურსზე, საჭიროების შემთხვევაში მათთვის აკადემიური შვებულების მიცემა;

სტუდენტთა დაშვება სახელმწიფო გამოცდებზე ანდა სადიპლომო შრომის დასაცავად;

სტუდენტებისათვის სტიპენდიის დანიშვნა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აზრის გათვალისწინებით.

44. დეკანის მოადგილეს ან მოადგილეებს დეკანის წარდგინებით ნიშნავს რექტორი უპირატესად სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მქონე პირთაგან.

45. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი საკითხების განსახილველად რექტორთან არსებობს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო.

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოში შედიან: რექტორი (თავმჯდომარე), პრორექტორები, ფაკულტეტების დეკანები, კათედრათა გამგეები, პროფესორ-მასწავლებელთა წარმომადგენლები, რომელთაც სამი წლის ვადით ირჩევენ ფაკულტეტის საბჭოები, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

46. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს ფაკულტეტების საბჭოები. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს რექტორი.

ფაკულტეტის საბჭოში შედიან: დეკანი (თავმჯდომარე), დეკანის მოადგილეები, კათედრათა გამგეები, პროფესორ-მასწავლებელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

47. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღჭურვილია მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლებით. მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხს ანიჭებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოები, რომელთა შემადგენლობას ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

48. დისერტაციის დაცვისა და სამეცნიერო ხარისხის მინიჭების, აგრეთვე უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო წოდებაზე წარდგენის წესებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ადგენს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო განათლების სამინისტროსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისია.

49. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აწყობს დისერტაციების დაცვას შემდეგ სპეციალობათა მიხედვით:

ა) მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად:

ფუნქციური ანალიზი და ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებანი, გეომეტრია და ტოპოლოგია, გამოთვლითი მათემატიკა, თეორიული და მათემატიკური ფიზიკა, დეფორმირებული მყარი სხეულის მექანიკა, მყარი სხეულის ფიზიკა, რადიოფიზიკა (ქვანტური რადიოფიზიკის ჩათვლით), დაბალ ტემპერატურა-

თა ფიზიკა, ნახევარგამტარებისა და დიელექტრიკების ფიზიკა, მაგნიტური მოვლენების ფიზიკა, გეოფიზიკა, ატომური ბირთვისა და კოსმოსური სხივების ფიზიკა, ოპერაციათა გამოკვლევა და სისტემატური ანალიზი, ტექნიკური კიბერნეტიკა და ინფორმაციის თეორია, არაორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, ორგანული ქიმია, ფიზიკური ქიმია, მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია, ჰიდროქიმია, ელემენტორგანულ ნაერთთა ქიმია, გეოლოგია, გეოტექტონიკა, ვულკანოლოგია, პეტროგრაფია, ლითოლოგია და მინერალოგია, პალეონტოლოგია და სტრატიგრაფია, ფიზიკური გეოგრაფია, სსრ კავშირის ეკონომიური გეოგრაფია, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიური გეოგრაფია, გეომორფოლოგია და პალეოგეოგრაფია, ნიადაგთა გეოგრაფია და ლანდშაფტების გეოქიმია; ხმელეთის ჰიდროლოგია, მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია და აგრომეტეოროლოგია, ბიოფიზიკა, ბიოქიმია, ბოტანიკა, ვირუსოლოგია, მიკრობიოლოგია, ზოოლოგია, ემბრიოლოგია და ჰისტოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია, გენეტიკა, ციტოლოგია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, სსრკ ისტორია, მსოფლიო ისტორია, საერთაშორისო ურთიერთობისა და საგარეო პოლიტიკის ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა, ხელოვნების ისტორია, თეატრალური ხელოვნება, მუსიკალური ხელოვნება, სახვითი ხელოვნება, პოლიტიკური ეკონომია, ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია, სახალხო მეურნეობის ისტორია, სახალხო მეურნეობის ეკონომიკა, მართვის ორგანიზაცია და დაგეგმვა, მათ შორის სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით: ა) მრეწველობა (მსუბუქი და კვების), ბ) სოფლის მეურნეობა, გ) ვაჭრობა, შრომის ეკონომიკა და მეცნიერული ორგანიზაცია, ფინანსები, ფულადი მიმოქცევა და კრედიტი, სტატისტიკა, საბუღალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, მსოფლიო სოციალისტური მეურნეობა და საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა, სამრეწველო საქონლის და მსუბუქი მრეწველობის ნედლეულის საქონელმცოდნეობა. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მეცნიერული კომუნიზმის თეორია, ფილოსოფიის ისტორია, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა, მარქსისტულ ლენინური ეთიკა, მეცნიერული ათეიზმი, ლოგიკა, გამოყენებითი სოციოლოგია, ზოგადი

ფსიქოლოგია, საბავშვო და პედაგოგიური ფსიქოლოგია, შრომის ფსიქოლოგია, სამედიცინო ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, პედაგოგიკის თეორია და ისტორია, რუსული ლიტერატურა, საბჭოთა ლიტერატურა, სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა, ამერიკისა და ავსტრალიის ლიტერატურა, აზიის ქვეყნების ლიტერატურა, ლიტერატურის თეორია, ფოლკლორისტიკა, ჟურნალისტიკა, რუსული ენა, სსრ კავშირის ხალხთა ენები, ქართული ენა, სომხური ენა, აზერბაიჯანული ენა, გერმანიკული ენები, რომანული ენები, თურქული ენები, ირანული ენები, კავკასიური ენები, კლასიკური ენები (ბერძნული და ლათინური), სემიტური ენები, ზოგადი ენათმეცნიერება, სახელმწიფო და სამართლის თეორია და ისტორია, პოლიტიკური და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, სახელმწიფო სამართალი და მმართველობა, ადმინისტრაციული და ფინანსური სამართალი, საპროკურორო ზედამხედველობა, საბჭოთა მშენებლობა, სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო სამართლის პროცესი, სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი, შრომა-გასწორებითი სამართალი, საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი, კრიმინალისტიკა, სამეურნეო სამართალი, საკოლმეურნეო, მიწის, წყლის, ტყის და სამთო სამართალი, ბუნების სამართლებრივი დაცვა.

ბ) მხოლოდ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად :

ალგებრა და რიცხვთა თეორია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, ასტრონომია, ასტრომეტრია და ციური მექანიკა, ასტროფიზიკა, ძიებათა გეოფიზიკის მეთოდები და სასარგებლო ნამარხთა დაზვერვა, მათემატიკური მეთოდები და გამოთვლილი ტექნიკის გამოყენება სახალხო მეურნეობის და მისი დარგების ეკონომიურ გამოკვლევებში, დაგეგმვასა და მართვაში; ოკეანოლოგია, შრომის სამართალი, სოციალური უზრუნველყოფის სამართალი.

ᲙᲐᲠᲘ IX

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ორგანიზაციები

50. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული საზოგადოებრივი და სამეცნიერო ორგანიზაციები, რომლებიც სტუდენტებს,

ასპირანტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, სასწავლო-დამხმარე პერსონალსა და სხვა მუშაკებს აერთიანებეხ, ᲛᲝქმედებენ თავ-თავისი წესდებისა თუ დებულების საფუძველზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

51. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებანი:

კათედრებთან ერთად აყალიბებენ სტუდენტთა სამეცნიერო წრეებს, აგრეთვე იყენებენ სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციის სხვა ფორმებსა და მეთოდებს;

ეწევიან მუშაობას სამეცნიერო კვლევა-ძიებაში სტუდენტთა ჩასაბმელად;

წარადგენენ სტუდენტთა საუკეთესო ნაშრომებს კონკურსებსა და გამოფენებზე;

ეწევიან სამეცნიერო და პოლიტიკური ცოდნის პროპაგანდას სტუდენტობასა და მოსახლეობაში.

52. სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების, სტუდენტთა ქალაქის სტუდენტთა საბჭოები და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები მონაწილეობენ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების, სტუდენტთა ქალაქის შინაგანი ცხოვრების მოწყობაში, იქ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის წარმოებაში, ზრუნავენ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების, სტუდენტთა ქალაქის მატერიალური ბაზის დასაცავად და კეთილმოსაწყობად, სტუდენტთა დამოუკიდებელი სასწავლო მეცადინეობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

53. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია სტუდენტთა კლუბები, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, სპორტული და სხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებანი უნივერსიტეტის სტუდენტთა და მუშაკთა შორის კულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საწარმოებლად.

კარი X

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონება და სახსრები

54. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა, ინვენტარი და სხვა ქონება სახელმწიფო საკუთრებაა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონება, რომელიც მის ბალანსზე ირიცხება, შეიძლება გადაეცეს სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

55. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახსრებს შეადგენს:

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებანი, სამეურნეო-სახელშეკრულებო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულების გასამრჯელოდ მიღებული სახსრები;

სასწავლო-საცდელ და ექსპერიმენტულ მეურნეობათა მოგებიდან შემოსული სახსრები და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავალი.

56. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ადგილობრივ მოქმედი საიჯარო ქირის განაკვეთების გადახდევინებით შეუძლია მიაქირაოს სხვა საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მისთვის მიჩენილი და დროებით გამოუყენებელი შენობები და ნაგებობანი, საწარმოო, სასაწყობო და სხვა სათავსები, აგრეთვე დროებით გამოუყენებელი მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი.

57. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უსასყიდლო სარგებლობისათვის გადასცემს უნივერსიტეტის პროფკავშირულ ორგანიზაციას უნივერსიტეტის ბალანსზე მყოფ თუ დაქირავებულ შენობებს, სათავსებსა და ნაგებობებს, ბაღებსა და პარკებს, რომლებიც განკუთვნილია უნივერსიტეტის სტუდენტთა, ასპირანტთა, პროფესორ-მასწავლებელთა თუ სხვა მუშაკთა და მათი ოჯახის წევრთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის, იმ შენობებსა და ნაგებობებს, რომლებიც განკუთვნილია აგრეთვე ტექნიკური პროპაგანდისათვის.

აღნიშნული ობიექტების მოვლა, რემონტი, გათბობა-განათება, დალაგება, დაცვა და მოწყობა ხდება თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის ხარჯზე. იმ შემთხვევაში, როცა ამ ობიექტებით სხვა საწარმოთა, დაწესებულებათა თუ ორგანიზაციათა მუშაკებიც სარგებლობენ, ასეთ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს უნდა დაეკისროთ საამისოდ თავიანთი წილი ხარჯები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უსასყიდლოდ სარგებლობისათვის გადასცემს უნივერსიტეტის პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი მუშაობისათვის და კრებების გასამართავად საჭირო სათავსებს და უზრუნველყოფს მათ მოწყობას, გათბობა-განათებას, დაცვასა და დალაგებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუძლია უსასყიდლოდ, ბალანსიდან ბალანსზე, გადასცეს უნივერსიტეტის პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სპორტული ინვენტარი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნივერსიტეტის განკარგულებაში დატოვებულა სახსრებით არის შეძენილი.

58. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უფასოდ მიუჩენს სადგომს:

ა) მასთან არსებულ საექიმო პუნქტს გათბობა-განათების, წყალმომარაგების, დაცვის, დალაგებისა და რემონტის უზრუნველყოფით;

ბ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან მის ბალანსზე მყოფ სასადილოს ან საზოგადოებრივი კვების სხვა ორგანიზაციას, რომელიც უნივერსიტეტის კოლექტივს ემსახურება, გათბობა-განათებისა და წყალმომარაგების უზრუნველყოფით.

59. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუძლია ზედმეტი, გამოუყენებელი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ხელსაწყო-იარაღები, ინვენტარი, ნედლეული, მასალები და სათბობი მიჰყიდოს სხვა საწარმოს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას, თუ ზემდგომი ორგანო უარს იტყვის ნამეტის გადანაწილებაზე ანდა ნამეტის არსებობის შესახებ ცნობის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში არ გამოგზავნის პასუხს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუძლია დამოუკიდებლად გაასაღოს მასალები, ხელსაწყო-იარაღები და სხვა მატერიალური ფასეულობა ადგილობრივი დამზადების წესით შეძენილი ფასეულობითურთ. მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვით მიღებული თანხები რჩება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განკარგულებაში ბიუ-

ჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა დამატებით და გამოიყენება სასწავლო და სამეცნიერო დანიშნულების მოწყობილობის, ხელსაწყოების შესაძენად.

60. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქმისწარმოებაში, საარქივო მუშაობაში, საბუხჰალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვაში ექვემდებარება არსებულ წესებს და ადგენს თვიურ, კვარტალურ და წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს. უნივერსიტეტი ანგარიშს აბარებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, აგრეთვე წარადგენს სტატისტიკურ ანგარიშებსა და სხვა ცნობებს შესაბამის ორგანიზაციებში.

61. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოხატულებითა და წარწერით: «თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი».

62. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილსამყოფელია საქართველოს სსრ, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 1.

რედაქტორი ს. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე

ნაბეჭდი თაბახი 2,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,89

უფასო

შეკვეთა 562 უე 11459 ტირაჟი 500

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.

УСТАВ

Тбилисского ордена Трудового Красного
Знамени государственного университета

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1973